

იპოვე \$10.000!

თიბისი ბანკი, დეპოზიტების კამპანიის ფარგლებში, ორიგინალურ თამაშს იწყებს

თბილისი, 14 მარტი, 2011 – 18 მარტიდან თიბისი ბანკი დაიწყებს ძალიან უჩვეულო და ორიგინალურ თამაშს, სახელწოდებით "იპოვე \$10.000". ამ თამაშში ნებისმიერ ადამიანს შეეძლება ჩაერთოს და მოძებნოს ის \$10.000, რომელიც მიწაშია ჩამარხული. ფულის საპოვნელად კი მოთამაშეებს მოუწევთ სხვადასხვა მინიშნების გამოცნობა და სპეციალური დავალებების შესრულება. ფულის მპოვნელს ნაპოვნი თანხა საჩუქრად გადაეცემა.

თამაში "იპოვე \$10.000" თიბისი ბანკის დეპოზიტების მიმდინარე სარეკლამო კამპანიის ნაწილია. მიწაში ფული ამ კამპანიის სარეკლამო რგოლის ერთ-ერთმა პერსონაჟმა დამარხა. ბანკი კი დაინტერესებულ ადამიანებს სთავაზობს, იპოვონ და დაისაკუთრონ ეს თანხა.

თამაში შედგება 4 ეტაპისაგან. მოთამაშეებს თითოეულ ეტაპზე მოუწევთ სხვადასხვა მინიშნების გამოცნობა, სპეციალური რუკის წასაკითხად, და შესაბამისი დავალებების შესრულება.

თამაში მთელი თბილისის მასშტაბით გაიშლება, რადგან დავალებები და ამოცანები ქალაქის სხვადასხვა ადგილებშია მიმოფანტული. ვინც ყველაზე მეტ საზრიანობას, მონდომებას და სისწრაფეს გამოიჩენს, ის პირველი მივა ფინიშთან, ანუ დამარხული ფულის ადგილსამყოფელთან და მიიღებს \$10.000-ს.

თამაში 18 მარტს, დილის 10:00 საათზე, თიბისი ბანკის სათავო ოფისიდან (მარჯანიშვილის ქ. №7) დაიწყება – მოთამაშეებისთვის სწორედ ამ დროიდან იქნება ხელმისაწვდომი პირველი რუკა, რომელშიც პირველი დავალებები იქნება მოცემული.

ვისაც უცაბედი გამდიდრება სურს, თამაშის შესახებ სრული ინფორმაციის მისაღებად შეუძლია ეწვიოს ფეისბუქზე სპეციალურად შექმნილ გვერდს <http://www.facebook.com/tbcgame>, სადაც განთავსებული იქნება თამაშთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია.

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა;
- ◆ თიდერი დეპოზიტების ბაზარზე
- ◆ თიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ კო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების "მომსახურება ბარიერების გარეშე" ინოვაციური საქართველოში;
- ◆ ფლობს წამყვან პოზიციებს სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B + and B
- ◆ Moody's: B 1 and Ba 3